

მაია ოთინაშვიდი პატიმრობიდან გათავისუფლდა



ოკუპირებული ახადგორის ე.წ. რაიონურმა სასამართლომ მაია ოთინაშვიდი ე.წ. საზღვრის უკანონო დარღვევაში დამნაშავედ ცნო და ერთნდრიანი პირობითი „სასჯელი“ მიუსაჯა, ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით. ინფორმაციას ამის შესახებ ოსური მედია

ავრცელებს. ამასთან, ე.წ. სასამართლო მაია ოთინაშვიდის პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

„რუსურ ბაზაზე ვიყავი ერთი დღე, დიდიდან საღამომდე. აქედან დაკავების დროს ძარის გამოყენებით გადამიყვანეს. კარგად არ მესმოდა, რუსურად რას დაპარაკობდნენ. მოჰქონდათ რაღაც ფურცლები და ხერს მაწერინებდნენ. ბაზიდან ცხინვარის იზოლატორში გადამიყვანეს, ოთხი დღე იქ ვიყავი. მეხუთე დღეს სასამართლო გვექონდა. ერთთვიანი შეგვიფარდეს და მას შემდეგ ციხეში ვიყავი. ორი სასამართლო პროცესი იყო. ერთნდრიანი პირობითი მომისაჯეს. განმიმარტეს, რომ ექვსი თვე არ უნდა ჩავიდინო ეს დანაშაული, ისინი რასაც ეძახიან დანაშაულს. თუ მერე კიდევ დავიჭერთ, მერე გავასამართლებთ. ყველაზე ძარიან ჩემი სახელი და ბავშვები მენატრებოდა“, – განაცხადა მაია ოთინაშვიდი.

ოსური მედიის ცნობით, საოკუპაციო ძარების წარმომადგენლებმა ოთინაშვიდი ქართურ მხარეს დღეს სოფელ ერგნეთთან გადასცეს. საოკუპაციო ძარებმა მაია ოთინაშვიდი 29 სექტემბერს დააკავეს.

